საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-179

2023 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებთ დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები::

ა) ემბლემა;

ბ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკის ნიმუში;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკის ნიმუში.

2. ცენტრის ემბლემა წარმოადგენს მეწამული (წითელი) არშიით შემოსაზღვრულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის (თეთრ) ველზე გამოსახულია ლაჟვარდით (ლურჯი) და მეწამულით შედგენილი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან ასოცირებული სტილიზებული სიმბოლო.

მუხლი 2

1. ემბლემის გამოყენება (აღმართვა, გამოფენა, გამოსახვა) ხდება ცენტრის საქმიანობის ფარგლებში და მიზნებისათვის.
2. ემბლემა შეიძლება გამოისახოს:

ა) ცენტრის ვებგვერდზე;

ბ) ცენტრის საინფორმაციო ბანერებზე, აბრებზე;

გ) ცენტრის მიერ გაცემულ სერტიფიკატებსა და დოკუმენტაციაზე;

დ) ცენტრის თანამშრომლის სამსახურებრივ მოწმობაზე;

ე) ცენტრის სარგებლობაში არსებულ ავტომობილზე;

ვ) ცენტრის ბეჭდვით გამოცემებზე, ვიდეო და ფოტომასალებზე;

ზ) სარეკლამო-საინფორმაციო, სუვენირულ პროდუქციაზე და სამსახურებრივ ინვენტარზე.

3. საჭიროების შემთხვევაში, ემბლემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები შესაძლებელია დაზუსტდეს ცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ცენტრმა ემბლემის გამოყენებისას იხელმძღვანელოს „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან

ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის №282 დადგენილებით.

5. ცენტრმა უზრუნველყოფს „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების გატარება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

LEPL ENVIRONMENTAL INFORMATION AND EDUCATION CENTRE

LEPL ENVIRONMENTAL INFORMATION
AND EDUCATION CENTRE

6 Marshal Gelovani Ave.,
0159 Tbilisi, Georgia
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

04 November, 2023

**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №6
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

04 ნოემბერი, 2022

**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

04 ნოემბერი, 2022